საქმე № 340311216001435598
საქმე №2/136-16

2750478379416

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

(საქართველოს სახელით)

საჯარო შეტყობინების შესახებ

02.09.2016 წელი ქ. გურჯაანი

გურჯაანის რაიონული სასამართლოს
მოსამართლე რომან კუპატაძე

მოსარჩელე - შემოსავლების სამსახური

წარმომადგენელი - მარიამ გიუნაშვილი

მოპასუხეები - შპს „ნინო“

დავის საგანი - ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის უფლების მოპოვების თაობაზე.

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოპასუხისათვის ბრძანების საჯაროდ შეტყობინებით ჩაბარების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

2016 წლის 15 ივლისს გურჯაანის რაიონულ სასამართლოს შუამდგომლობით მომართა შემოსავლების სამსახურმა შპს "ნინოს" დაყადაღებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

შუამდგომლობაში მითითებულია,რომ **შემოსავლების სამსახურის 2015 წლის 07 მაისის №042-56** ბრძანების საფუძველზე შპს შპს "ნინოს" საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს "ნინოს" ქონებას. გადასახადის გადამხდელის შპს "ნინოს" აღიარებული საგადასახადო დავალიანება ბიუჯეტის წინაშე შეადგენდა სულ 46 169,15 ლარს. შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა მარიამ გიუნაშვილმა იშუამდგომლა და მოითხოვა გაიცეს ბრძანება შპს „ნინოს“ყადაღადადებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს მიერ 2016 წლის 22 ივლისს მიღებული იქნა ბრძანება გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე.

მოპასუხე შპს „ნინოს“ ორჯერ გაეგზავნა 2016 წლის 22 ივლისის ბრძანება მისამართზე - გურჯაანის რაიონი სოფელი მუკუზანი, მაგრამ ვერ ჩაბარდა შუამდგომლობაში მითითებულ მისამართზე არ ყოფნის გამო.

საქმეში არსებული აქტით დასტურდება, რომ შპს ,,ნინოს" წარმომადგენელმა ითხოვა ბრძანების გაგზავნა მისამართზე ქ.თბილისი, 9 ძმის ქ.N21. აღნიშნულ მისამართზე რამოდენიმეჯერ გაიგზავნა ბრძანება, მაგრამ ჩაბარება ვერ მოხერხდა

სასამართლო თვლის, რომ მოპასუხეს ბრძანების შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე, ან ვებგვერდზე განთავსებით, ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში - მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას: კერძოდ, საფოსტო შეტყობინების ბარათებით და საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხის იურიდიული მისამართია - გურჯაანის რაიონი სოფელი მუკუზანი, თუმცა ბრძანების გაგზავნის მომენტისთვის მოპასუხე ამ მისამართზე არ იმყოფება.

შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია, მაგრამ მას გზავნილი ვერ ჩაბარდა იმის გამო, რომ ის არ იმყოფება შუამდგომლობაში მითითებულ მისამართზე, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე განთავსების გზით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 70-ე-78-ე, 184-ე, 201-ე, 284-ე-285-ე, 414-ე მუხლებით და

დაადგინა :

გურჯაანის რაიონული სასამართლო მოპასუხე შპს „ნინოს" (ს/ნ 427721600,იურიდიული მისამართ: გურჯაანის რაიონი სოფელი მუკუზანი) წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს, 2016 წლის 22 ივლისის ბრძანების სარეზულუციო ნაწილს:

1. დაკმაყოფილდეს შემოსავლების სამსახურის შუამდგომლობა - **შპს "ნინოს" (ს/ნ № 427721600, მისამართი: გურჯაანის რაიონი სოფელი მუკუზანი)** დაყადაღებული ქონების ღია აუქციონზე რეალიზაციის მოთხოვნის შესახებ;

2. ღია აუქციონის წესით რეალიზებულ იქნას გადასახადის გადამხდელის - შპს "ნინოს" 2015 წლის 22 მაისის აქტის საფუძველზე ყადაღადადებული ქონება;

3. მოსამართლის ბრძანება ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ ძალაში შედის ბრძანების გასაჩივრების ვადის ამოწურვის შემდეგ;

4. **ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდ.**

ქ. თბილისი. გრ. რობაქიძის გამზ. №7ა.) მხარისათვის ასლის გადაცემიდან 48 საათის განმავლობაში, გურჯაანის რაიონული სასამართლოს (მდ. ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქუჩა №24) მეშვეობით.

განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ გამოქვეყნდეს გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე. სასამართლოს შეტყობინება მოპასუხე გიორგი საბანაძეს ჩაბარებულად ითვლება გურჯაანის რაიონული სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

რომან კუპატაძე

ასლი დედანთან სწორია
გურჯაანის რაიონული სასამართლო
ხელმოწერა: 06.09.2016 წ.